

**წესდება – დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმება  
(არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი)**

**ქალაქი ბათუმი  
11.22.2023 წელი**

**მუხლი 1**

**ზოგადი დებულებები**

1.1. „სამართლისა და პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტი“ შემდგომში „ინსტიტუტი“ წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ წევრობაზე დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს;

1.2. სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეესტრაციის მომენტიდან.

1.3. სახელწოდება:

**სამართლისა და პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტი**

საერთაშორისო სახელწოდება:

**Institute for Law and Policy Research**

ელ-ფოსტა:

[info@ilpr.ge](mailto:info@ilpr.ge)

[lawandpolicy2020@gmail.com](mailto:lawandpolicy2020@gmail.com)

ტელეფონი: **+995 577 02 02 04**

სამართლებრივი ფორმა: **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;**

1.4. იურიდიული მისამართი: **საქართველო, ქალაქი ბათუმი, მამია კომახიძის ქუჩა №95;**

1.5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი წევრის (წევრების), აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის.

1.6. ინსტიტუტის საქმიანობის მიზნები:

- საზოგადოებაში სამართლებრივი და პოლიტიკური ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;
- დემოკრატიული ღირებულებების დაცვა;
- ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მექანიზმების

განვითარება;

- საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- საზოგადოების ინფორმირება სამართლებრივ და პოლიტიკურ საკითხებზე;
- საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- სამართლებრივი და პოლიტიკური ცოდნის გაზიარება და არაფორმალური განათლების განვითარება;
- სახელმწიფოში მიმდინარე პროცესების სამართლებრივი და პოლიტიკური ანალიზი/შეფასება;
- სახელმწიფო ინსტიტუტების ანგარიშვალდებულებისა და საქმიანობის გამჭვირვალობის ხელშეწყობა;
- სტუდენტთა პროფესიული უნარ - ჩვევების განვითარების ხელშეწყობა;
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელება და პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზება;
- ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა თანამედროვე სამართლებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებებში;
- ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების პოლიტიკისა და სამართლის ძირითადი მიმართულებების განვითარება და ხელშეწყობა;
- სპორტის სამართლისა და პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განვითარება და ხელშეწყობა;
- ტურიზმის სამართლისა და პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განვითარება და ხელშეწყობა.

#### 1.7. ინსტიტუტის საქმიანობის ამოცანები:

- საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართლის აქტუალური საკითხების კვლევა და სხვადასხვა ღონისძიებებში/კომისიებში/განხილვებში/სამუშაო ჯგუფებსა და შეხვედრებში წარმომადგენლობის უზრუნველყოფა;
- მუნიციპალიტეტების საქმიანობის სამართლებრივი შეფასება და ანალიზი;
- საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოების სამართლებრივი კონსულტირება და მათ საქმიანობის ანალიზი;
- ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და დაცვის მექანიზმების განვითარება;
- საარჩევნო სამართლის კვლევა. საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობისა და სამართლიანობის ზედამხედველობა;
- უმცირესობების (ეთნიკური, რელიგიური) უფლებების დაცვა და განვითარების ხელშეწყობა;
- უმცირესობების (ეთნიკური, რელიგიური) პრობლემების კვლევა და ანალიზი;
- სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების პრობლემების კვლევა, ანალიზი და მათი უფლებების დაცვის ხელშეწყობა;
- საზოგადოებრივი მშვიდობის საკითხების კვლევა, ანალიზი და შეფასება;
- უსაფრთხოების სექტორზე სამოქალაქო და დემოკრატიული კონტროლის გაძლიერების ხელშეწყობა;
- უსაფრთხოების გარემოს ტრანსფორმაციის შესწავლა, მისი სიღრმისეული ანალიზი, აღნიშნული მიმართულებით კვლევების განხორციელება;
- უსაფრთხოების პოლიტიკის შესახებ კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის მომზადება და მისი გაზიარება სახელმწიფოსა და ფართო საზოგადოებისთვის;
- უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებზე ფართო სამოქალაქო და პოლიტიკური კონსენსუსის ხელშეწყობა;

- რეგიონული და სამეზობლო პოლიტიკის ანალიზი და კვლევა, კვლევაზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავება;
- საქართველოს ეფექტური რეგიონული და სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების მხარდაჭერა;
- საქართველოში არსებული კონფლიქტების პოლიტიკური და სამართლებრივი შესწავლა, ანალიზი და სამშვიდობო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა;
- სემინარების, შეხვედრების, კონფერენციების, ფორუმების, ლექციების, სკოლების ორგანიზება;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა სამეცნიერო და პედაგოგიურ საკითხებთან დაკავშირებით;
- ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა სახელმწიფოსა და საუნივერსიტეტო საქმიანობის კვლევის პროცესში;
- ბავშვთა და ახალგაზრდული ინიციატივების წარმოჩენა. ადგილობრივი და საერთაშორისო პროგრამების, პროექტებისა და ღონისძიებების ორგანიზება და მათში მონაწილეობა;
- სპორტის სამართლისა და პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების კვლევა/ანალიზი. ადგილობრივი და საერთაშორისო პროგრამების, პროექტებისა და ღონისძიებების ორგანიზება და მათში მონაწილეობა;
- ტურიზმის სამართლისა და პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების კვლევა/ანალიზი. ადგილობრივი და საერთაშორისო პროგრამების, პროექტებისა და ღონისძიებების ორგანიზება და მათში მონაწილეობა.

1.8. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას.

1.9. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

## **მუხლი 2** **ინსტიტუტის დამფუძნებლები**

### **2.1. ინსტიტუტის დამფუძნებლები არიან:**

1. ნიკოლოზ მეგრელიშვილი - საქართველოს მოქალაქე, 3/5 61001043882 მისამართი: ქალაქი ბათუმი, მამია კომახიძის ქუჩა №95;
2. გიორგი გობრონიძე - საქართველოს მოქალაქე, 3/5 01005011061 მისამართი: ქალაქი თბილისი, დიდი დიდომის დასახლება, III მიკრო/რაიონი, კორპუსი 28, ბინა 40;
3. თამარ გვარიშვილი - საქართველოს მოქალაქე, 3/5 61001082304 მისამართი: ქალაქი ბათუმი, შალვა ინასარიძის ქუჩა, N 8, ბინა 34;
4. ანნა მდინარაძე - საქართველოს მოქალაქე, 3/5 46001023780 მისამართი: ჩოხატაური ს. ამაღლება.

### მუხლი 3 ინსტიტუტის მართვა

„ინსტიტუტის“ უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს დამფუძნებელთა საერთო კრება;

3.1 დამფუძნებელთა საერთო კრება შედგება „ინსტიტუტის“ დამფუძნებლებისგან;

3.2 დამფუძნებელთა საერთო კრების სხდომები იმართება წელიწადში ერთხელ მაინც დამფუძნებელთა საერთო კრების წევრების 2/3-ის მოთხოვნით. დამფუძნებელთა საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დამფუძნებელთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით;

3.3 დამფუძნებელთა საერთო კრების სხდომის მოწვევის შესახებ „ორგანიზაციის“ გამგეობის თავმჯდომარე სხდომის გამართვის დღემდე 15 კალენდარული დღით ადრე წერილობით (საფოსტო გზავნილი) სხდომის თარიღისა, ჩატარების ადგილის და განსახილველ საკითხთა შესახებ ატყობინებს საერთო კრების წევრებს;

3.4 საერთო კრების სხდომას ხსნის და უძღვება საერთო კრების წევრთაგან უხუცესი წევრი;

3.5 გადაწყვეტილებები მიიღება დამფუძნებელთა საერთო კრებაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით.

3.6 დამფუძნებელთა საერთო კრება:

ა) ამტკიცებს და ცვლილებები შეაქვს „ინსტიტუტის“ წესდებაში;

ბ) ირჩევს „ინსტიტუტის“ გამგეობის წევრებს 3 წლის ვადით;

გ) ირჩევს „ინსტიტუტის“ გამგეობის თავმჯდომარეს გამგეობის წევრთაგან გამგეობის უფლებამოსილების ვადით 3 წლით.

დ) ისმენს გამგეობისა და გამგეობის თავმჯდომარის ანგარიშებს მიმდინარე საქმიანობის შესახებ;

ე) აფასებს გამგეობისა და გამგეობის თავმჯდომარის საქმიანობას;

ვ) ირჩევს „ინსტიტუტის“ გენერალურ მდივანს და ორ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს გამგეობის წევრთაგან გამგეობის უფლებამოსილების ვადით 3 წლით.

ზ) ამტკიცებს გამგეობის მიერ მომზადებულ ორგანიზაციული განვითარების სტრატეგიებს.

### მუხლი 4 ინსტიტუტის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

4.1. გამგეობის თავმჯდომარე:

ა) წარმოადგენს „ინსტიტუტის“ წარმომადგენლობითი უფლებამოსილ პირს;

ბ) წარმართავს „ინსტიტუტის“ საქმიანობას საწესდებო მიზნების მისაღწევად;

გ) წარმოადგენს „ინსტიტუტს“ მესამე პირებთან ურთიერთობაში;

დ) ხელმძღვანელობს გამგეობის საქმიანობას;

ე) ახორციელებს „ინსტიტუტის“ ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების ოპერატიულ მართვას და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე;

ვ) განსაზღვრავს „ინსტიტუტის“ თანამდებობის პირთა მომსახურე პერსონალის საშტატო ერთეულებს და ხელფასის ზღვრულ ოდენობას;

ზ) ხელს აწერს „ინსტიტუტის“ ოფიციალურ, მათ შორის საფინანსო დოკუმენტებს;

თ) გამგეობის მიერ დამტკიცებული საშტატო ერთეულების შესაბამისად, სამუშაოზე იღებს და ანთავისუფლებს მომსახურე პერსონალს;

ი) ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

- კ) გამგეობის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ან/და მისი უფლებამოსილებების განხორციელების შეუძლებლობის დროს გამგეობის თავმჯდომარის უფლებამოსილებას ახორციელებს „ინსტიტუტის“ გენერალური მდივანი.
- ლ) გამგეობის თავმჯდომარის და გენერალური მდივნის არყოფნის შემთხვევაში ან/და მათ მიერ უფლებამოსილებების განხორციელების შეუძლებლობის დროს გამგეობის თავმჯდომარის უფლებამოსილებას ასრულებს „ინსტიტუტის“ გამგეობის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე გამგეობის თავმჯდომარის ან გენერალური მდივნის მიერ მასზე უფლებამოსილების დაკისრების საფუძველზე.
- „ინსტიტუტის“ გამგეობის თავმჯდომარე და წარმომადგენლობითი უფლებამოსილი პირია – ნიკოლოზ მეგრელიშვილი - საქართველოს მოქალაქე, 3/5 61001043882 მისამართი: ქალაქი ბათუმი, მამია კომახიძის ქუჩა №95;**
- 4.3 „ინსტიტუტის“ გენერალური მდივანია - გიორგი გობრონიძე - საქართველოს მოქალაქე, 3/5 01005011061 მისამართი: ქალაქი თბილისი, დიდი დიდომის დასახლება, III მიკრო/რაიონი, კორპუსი 28, ბინა 40;**
- 4.4 „ინსტიტუტის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეა - თამარ გვარიშვილი - საქართველოს მოქალაქე, 3/5 61001082304 მისამართი: ქალაქი ბათუმი, შალვა ინასარიძის ქუჩა, N 8, ბინა 34;**
- 4.5 „ინსტიტუტის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეა - ანნა მდინარაძე - საქართველოს მოქალაქე, 3/5 46001023780 მისამართი: ჩოხატაური ს. ამადლება.**
- 4.6. „ინსტიტუტის“ გამგეობა შედგება 4 წევრისაგან და აირჩევა დამფუძნებელთა საერთო კრების მიერ 3 წლის ვადით.
- 4.7. „ინსტიტუტის“ გამგეობა:
- ა) განსაზღვრავს „ინსტიტუტის“ საქმიანობის პრიორიტეტებს;
  - ბ) ამზადებს „ინსტიტუტის“ წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტს და წარუდგენს საერთო კრებას;
  - გ) წყვეტს „ინსტიტუტის“ წევრად მიღების/გარიცხვის საკითხს;
  - დ) ამტკიცებს „ინსტიტუტის“ მიერ გაწეული საქმიანობისა და ფინანსურ ანგარიშს დამფუძნებელთა საერთო კრებისათვის წარსადგენად;
  - ე) ზედამხედველობას უწევს „ინსტიტუტის“ მიმდინარე პროექტებს;
  - ვ) ამტკიცებს განსახორციელებელ პროექტებს;
  - ზ) ამტკიცებს „ინსტიტუტის“ სტრუქტურას და შინაგანაწესს;
  - თ) წყვეტს სხვა საკითხებს რომლებიც ამ წესდებით არ განეკუთვნება დამფუძნებელთა საერთო კრების და გამგეობის თავმჯდომარის კომპეტენციას;
  - ი) ასრულებს ამ წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
- 4.8. „ინსტიტუტის“ გამგეობის სხდომა მოიწვევა სამ თვეში ერთხელ მაინც გამგეობის თავმჯდომარის ან გამგეობის წევრთა 2/3 მოთხოვნით.
- 4.9. გამგეობის სხდომის მოწვევის შესახებ „ინსტიტუტის“ გამგეობის თავმჯდომარე სხდომის გამართვის დღემდე 10 კალენდარული დღით ადრე წერილობით (საფოსტო გზავნილი) სხდომის თარიღის, ჩატარების ადგილის და განსახილველ საკითხთა შესახებ ატყობინებს გამგეობის წევრებს.
- 4.10. გამგეობის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა.
- 4.11. გამგეობის სხდომას ხსნის და უძღვება „ინსტიტუტის“ გამგეობის თავმჯდომარე.
- 4.12. „ინსტიტუტი“ გამგეობის მიერ გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

## **„ინსტიტუტის“ გამგეობის წევრები არიან:**

1. „ინსტიტუტის“ გამგეობის თავმჯდომარე და წარმომადგენლობითი უფლებამოსილი პირი – ნიკოლოზ მეგრელიძე - საქართველოს მოქალაქე, პ/ნ 61001043882 მისამართი: ქალაქი ბათუმი, მამია კომახიძის ქუჩა №95;
2. „ინსტიტუტის“ გენერალური მდივანი - გიორგი გობრონიძე - საქართველოს მოქალაქე, პ/ნ 01005011061 მისამართი: ქალაქი თბილისი, დიდი დიდობის დასახლება, III მიკრო/რაიონი, კორპუსი 28, ბინა 40;
3. „ინსტიტუტის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე - თამარ გვარიშვილი - საქართველოს მოქალაქე, პ/ნ 61001082304 მისამართი: ქალაქი ბათუმი, შალვა ინასარიძის ქუჩა, N 8, ბინა 34;
4. „ინსტიტუტის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე - ანა მდინარაძე - საქართველოს მოქალაქე, პ/ნ 46001023780 მისამართი: ჩოხატაური ს. ამადლება.

### **მუხლი 5**

#### **წევრთა უფლებები და მოვალეობები**

5.1. „ინსტიტუტის“ წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც გაიზიარებს „ინსტიტუტის“ წესდებს, სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს „ინსტიტუტის“ საქმიანობაში, კეთილსინდისიერად შეასრულოს „ინსტიტუტის“ ორგანოების ყველა დავალება და გადაწყვეტილება. წევრობის მსურველს რეკომენდაციას უნდა აძლევდეს ერთი წევრი;

„ინსტიტუტის“ წევრობის მსურველმა განცხადებით უნდა მიმართოს გამგეობას.

გამგეობა, კანდიდატის წევრად მიღების საკითხს წყვეტს ერთიდან სამი თვის ვადაში;

„ინსტიტუტის“ წევრობიდან გასვლა თავისუფალია.

„ინსტიტუტის“ წევრს უფლებამოსილება უწყდება:

ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;

ბ) გარდაცვალებისას;

გ) „ინსტიტუტის“ ლიკვიდაციისას.

დ) „ინსტიტუტის“ წევრს, გამგეობის გადაწყვეტილებით, უფლებამოსილება ჩამოერთმევა, თუ:

– მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება „ინსტიტუტის“ მიზნებს;

– იგი უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

5.2. „ინსტიტუტის“ წევრს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობდეს „ინსტიტუტის“ მუშაობაში;

ბ) არჩეულ იქნას „ინსტიტუტის“ ორგანოებში;

გ) ისარგებლოს „ინსტიტუტის“ საკუთრებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, მიზნების შესაბამისად;

დ) მონაწილეობდეს „ინსტიტუტის“ პროგრამებში, კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების შესაბამისად;

5.3. „ინსტიტუტის“ წევრი ვალდებულია დაემორჩილოს „ინსტიტუტის“ წესდებს.

### **მუხლი 6**

#### **ინსტიტუტის ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია**

6.1. ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია ხდება:

„ინსტიტუტის“ დამფუძნებელთა საერთო კრების გადაწყვეტილებით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

6.2 ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება ნაწილდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## **მუხლი 7**

### **დასკვნითი დებულებები**

7.1. წინამდებარე წესდება (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმება) ძალაში შედის დამფუძნებელთა საერთო კრებაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის მიერ დამტკიცების შემდეგ.

7.2. თუ ამ წესდების (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმების) რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

7.3. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონმდებლობა.